ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 160

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2012 წლის 11 აპრილს, ერთის მხრივ გარდაბნის მუნიციპალიტეტი (მის: ქალაქი გარდაბანი, დ. აღმაშენებლის №73), წარმოდგენილი მისი გამგებლის ზვიად ეპიტაშვილის სახით (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „ჰიდროგეოდეზიური ცენტრი" (მის: ქ. რუსთავი, ფალიაშვილის 5ა/24) წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი გარგულიას სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი"), შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი №384 სოფელ მარტყოფში გზის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის საკონკურსო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვა შემდეგ თანხაზე: 2100 (ორი ათას ასი) ლარი, ყველა გადასახადის ჩათვლით (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება").

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3 „დღე". „კვირა", „თვე"-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი"- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „ტექნიკური დავალება" - სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 „შემსყიდველი" უკვეთავს, ხოლო „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას სოფელ მარტყოფში გზის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადებაზე.

2.2 კლასიფიკატორის კოდი: 71300000;

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2100 (ორი ათას ას) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებული ვალდებულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურება დასრულებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი - გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტუისა და მშენებლობის სამსახური.

5.3. მიმწოდებელი და ხელშეკრულების შესრულებაზე მიმწოდებლის მხრიდან ინსპექტირების საწევაზე უფლებამოსილი პირი პასუხისმგებლები არიან გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში წარდგენილი დოკუმენტაციის სისრულეზე და სისწორეზე

6. მომსახურების დასრულების ვადა

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დასრულების საბოლოვო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღე.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული მომსახურებისთვის გადაუხადოს „მიმწოდებელს" შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

ბ) კონტროლი გაუწიოს ხელშეკრულების საგნის შესრულებას.

7.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) სათანადო ნორმების დაცვით შეასრულოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული მომსახურება.

ბ) თავისდროულად და წერილობით აცნობოს "შემსყიდველს" მომსახურების შესრულებისას მოსალოდნელი შეფერხებების შესახებ.

8. ინსპექტირების პირობები

8.1 ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებულ ვალდებულებას ინსპექტირებას უწევს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახური.

8.2 არაჯეროვნად შესრულებულ ვალდებულებას ინსპექტირების ჯგუფი აფიქსირებს ოქმით. აღნიშნულის გამოსწორება ხდება „მიმწოდებელი"-ს მიერ საკუთარი ხარჯებით.

9. პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგადამტეხლო ყოველ ვადაგადავილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგადამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 პირგადამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან .

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეურულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების გაზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

GEORGIAN HYDROGEODESY CENTER LTD 216293932

11. დაუძლეველი ძალა

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობა მის: ქალაქი გარდაბანი, დ. აღმაშენებლის №73 საიდენტიფიკაციო კოდი: № 226573204 ს.ს. „ლიბერთი ბანკი"-ს ბ.კ. № LBRTGE22 ანგარიშსწორების ანგარიში: № GE59LB0120137100012000	შპს „ჰიდროგეოდეზიური ცენტრი" მის: ქ. რუსთავი, ფალიაშვილის 5ა/24 საიდენტიფიკაციო კოდი № 416293932 ს.ს. „რესპუბლიკა ბანკი" ბ.კ. № REPLGE22 ანგარიშსწორების ანგარიში: № GE28BR0000010281403559

გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებელი	შპს „ჰიდროგეოდეზიური ცენტრი"-ს დირექტორი:
ზვიად ეპიტაშვილი	გიორგი ბარგუჯადა